

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
280.120.000.12.220.005.214

**საქართველოს დამღვევის სახელმწიფო
გეღამხედველობის სამსახურის უფროსის
ბრძანება N 4
2002 წლის 21 მარტი ქ. თბილისი**

საპენსიო შეთანხმების წესი

"არასახელმწიფო საპენსიო დამღვევისა და უბრუნველყოფის შესახებ" საქართველოს 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის ზ) ქვეპუნქტის მოთხოვნის შესრულების მიზნით ვბრძანებ:

1. დამგვიცდეს "საპენსიო შეთანხმების წესი" (თან ერთვის)
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. ბრძანების შესრულებაზე კონკროლი ეკისრება საქართველოს დამღვევის სახელმწიფო გეღამხედველობის სამსახურს.

ა. ცერცვაძე

საპენსიო შეთანხმების წესი

მუხლი 1

1. "საპენსიო შეთანხმების წესები" მომზადებულია "არასახელმწიფო საპენსიო დამღვევისა და უბრუნველყოფის შესახებ" საქართველოს 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონის მე – 40 მუხლის პირველი პუნქტის ზ) ქვეპუნქტის შესაბამისად და განსაზღვრავს არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის მიერ საპენსიო შეთანხმების წესის დადგენას.

2. საპენსიო შეთანხმების წესი არეგულირებს არასახელმწიფო საპენსიო დამღვევისას ურთიერთობებს არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელს (შემდგომში – დამფუძნებელი), მეანაბრეს და არასახელმწიფო საპენსიო სქემის მონაწილეს (შემდგომში – მონაწილე) შორის.

მუხლი 2

1. შეთანხმება შეიძლება დაიდოს:
 - ა) დამფუძნებლისა და მეანაბრეს შორის სხვა ფიზიკური პირის სასარგებლოდ;
 - ბ) დამფუძნებელსა და მონაწილეს შორის, თუ მონაწილე ამავე დროს არის მეანაბრე თავის სასარგებლოდ;
 - გ) დამფუძნებელსა და მის ორგანიზაციის მუშაკებს შორის, თუ დამფუძნებელი ამავე დროს არის მეანაბრე თავის მუშაკების სასარგებლოდ.

მუხლი 3

1. თუ შეთანხმება იდება მე -2 მუხლის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირებს შორი, მაშინ ის უნდა მოიცავდეს:

- ა) შეთანხმების ხელმოწერისა და ძალაში შესვლის თარიღს;
- ბ) დამფუძნებლის სახელწოდების, მისამართს, რეგისტრაციის ნომერს, რეკვიზიტებს, საიდენტიფიკაციო კოდს, ლიცენზიის ნომერსა და მისი გაცემის თარიღს;
- გ) სქემის სახელწოდებასა და რეგისტრაციის ნომერს;
- დ) იმ პირის ვინაობას, პირად ნომერს და მისამართს, ვის სასარგებლოდაც იდება არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის შეთანხმება;
- ე) ინფორმაციას მეანაბრის შესახებ;
- ე.ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირის ვინაობას, მისამართსა და პირად ნომერს;

ე.ბ) იურიდიული პირის შემთხვევაში – სახელწოდებას, მისამართს, რეგისტრაციის ნომერს, რეკვიზიტებს და საიდენტიფიკაციო კოდს.

ვ) შეთანხმების საგანს, პენსიის ოდენობას (გასაცემი პენსიის ოდენობის სქემის შემთხვევაში) და საპენსიო სქემის ტიპს;

ზ) სადამღვევო შენაგანების მინიმალურ ოდენობას;

თ) შენაგანების განხორციელების წესს;

ი) პენსიის გადახდის წესს;

კ) მხარეთა უფლება-მოვალეობებს;

ლ) შეთანხმების შეწყვეტის წესს;

მ) მეანაბრის მიერ საპენსიო სქემაში განხორციელებული შენაგანების, ამავე დამფუძნებლის სხვა საპენსიო სქემაში ან სხვა დამფუძნებლის საპენსიო სქემაში გადაგანის წესებსა და პირობებს.

2. თუ შეთანხმება იდება მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირებს შორის, მასში ის უნდა მოიცავდეს:

ა) ინფორმაციას მე-3 მუხლის 1 პუნქტის ა,ბ,გ, ვ,ზ,თ,ი,კ,ლ,მ ქვეპუნქტების მიხედვით.

ბ) სქემის მონაწილის ვინაობას, პირად ნომერსა და მისამართს.

3. თუ შეთანხმება იდება მე-2 მუხლის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირებს შორის, მაშინ ის უნდა მოიცავდეს:

ა) ინფორმაციას მე-3 მუხლის 1 პუნქტის ა,ბ,გ,ვ,ზ,თ,ი,კ,ლ,მ ქვეპუნქტების მიხედვით.

ბ) დამსაქმებელთან დადებულ შეთანხმებაზე მუშაკების მიერთების წესსა და პირობებს.

მუხლი 4

1. სადამღვევო შეთანხმება წყდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) დამფუძნებლის მიერ მონაწილის მიმართ პენსიის გაცემის ვალდებულების შესრულებისას;

ბ) მონაწილის სხვა საპენსიო სქემაში გადასვლისას;

გ) მონაწილის საპენსიო სქემიდან გასვლისას;

დ) მეანაბრის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობისას;

ე) საპენსიო სქემის მონაწილის გარდაცვალებისას.

